ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3828107

ნომერი: AR1570688

თარიღი : 16.01.2018

გაცემის თარიღი : 18.04.2018

გაცნობის თარიღი : 26.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბეშოი ვასსეფ სადდეკ ვასსეფ --- პ/ნ 01491017519
- საჩხერე ს. დუნთა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 16 იანვრის #AR1570688 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 2017 წლის 1 ივნისის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს 2018 წლის 16 იანვარს #AR1570688 განცხადებით მომართა ბეშოი ვასსეფ სადდეკ ვასსეფმა და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 07 ნოემბრის N892017054943-03, 2017 წლის 15 დეკემბრის N892017151664-09 და 2017 წლის 20 დეკემბრის N892017242244-05 გადაწყვეტილებების საფუძველზე სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 07 ნოემბრის N892017054943-03, 2017 წლის 15 დეკემბრის N892017151664-09 და 2017 წლის 20 დეკემბრის N892017242244-05 გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლგიის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით (საქმე #3/8179-17) საჯარო რეესტრს ეროვნული სააგენტოს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე აეკრძალა ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მე-3 მ/რ-ში, #37 კორპუსის მიმდებარე, შპს „მალტი ფლეგსის“ კუთვნილ #01.10.08.005.034 მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო წარმოება.
გამომდინარე აქედან, ვინაიდან საჯარო რეესტრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლგიის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით (საქმე #3/8179-17), საჯარო რეესტრს ეროვნული სააგენტოს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, აკრძალული აქვს #01.10.08.005.034 მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო წარმოება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია, საჯარო რეესტრის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.